ბათუმის საქალაქო სასამართლოს

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქალაქი ბათუმი 16 ივნისი, 2016 წელი

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა - ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე - **დავითი მამისეიშვილი,**

სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ვიოლეტა ფორჩხიძე** - ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე;

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის წევრები :

ჯუმბერ ბეჟანიძე - ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე;

გოჩა ფუტკარაძე - ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე;

ლაშა თავართქილაძე - ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე;

ადამ მახარაძე - დამოუკიდებელი სპეციალისტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი;

თეონა ჭუმბურიძე - დამოუკიდებელი სპეციალისტი, ფიზიკური პირი, ადვოკატი.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო ორი საკითხი :

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარება.
2. კონკურსის ჩატარების პროცედურების განსაზღვრა.

ა) კომისიის წევრებმა მოისმინეს დავითი მამისეიშვილის ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კონკურსს ექვემდებარება შემდეგი საშტატო თანამდებობები:

ბათუმის საქალაქო სასამართლოში:

N	თანამდებობის დასახელება	ვაკანსია
	საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება	
1	თავმჯდომარის პირადი მდივანი	1
	კანცელარია და მოქალაქეთა მისაღები (განყოფილება)	
2	სპეციალისტი	2
3	კურიერი	1

ბ) კომისიის წევრებმა მოისმინეს დავითი მამისეიშვილის ინფორმაცია, კონკურსის ჩატარების პროცედურების თაობაზე, რომლის თანახმადაც სასურველია:

- კონკურსი ჩატარდეს გასაუბრების ფორმით;

- კონკურსში მონაწილოება მიიღოს მხოლოდ იმ კანდიდატმა, რომელიც განაცხადის (აპლიკაციის) გადარჩევის საფუძველზე დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;

- კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე დაკავშირება მოხდეს მხოლოდ შერჩევის შედეგად შემდეგ ეტაპზე გადასულ კანდიდატთან მის მიერ განაცხადში მითითებული ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით;

- საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრაციული ვებგვერდის (www.hr.gov.ge)მეშვეობით კონკურსი გამოცხადდეს 2016 წლის 20 ივნისს, განცხადებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2016 წლის 04 ივლისი.

- ბათუმის საქალაქო სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ განიხილა - ბათუმის საქალაქო სასამართლოში კონკურსის გამოცხადების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოში გამოცხადდეს კონკურსი აპარატის მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე;
2. კონკურსი ჩატარდეს გასაუბრების ფორმით;
3. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნომ უზრუნველყოს წარმოდგენილი განაცხადების შესაბამისობის შემოწმება დადგენილ მოთხოვნებთან;
4. კონკურსში მონაწილოება მიიღოს მხოლოდ იმ კანდიდატმა, რომელიც განაცხადის (აპლიკაციის) გადარჩევის საფუძველზე დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;
5. კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე დაკავშირება მოხდეს მხოლოდ შერჩევის შედეგად შემდეგ ეტაპზე გადასულ კანდიდატთან მის მიერ განაცხადში მითითებული ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით;

6. საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრაციული ვებგვერდის (www.hr.gov.ge)მეშვეობით კონკურსი გამოცხადდეს 2016 წლის 20 ივნისს, განცხადებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2016 წლის 04 ივლისი.

კომისიის თავმჯდომარე

დავითი მამისეიშვილი -

თავმჯდომარის მოადგილე

ვიოლეტა ფორჩხიძე -

კომისიის წევრი

ჯუმბერ ბეჟანიძე -

კომისიის წევრი

გოჩა ფუტკარაძე -

კომისიის წევრი

ლაშა თავართქილაძე -

კომისიის წევრი

ადამ მახარაძე -

კომისიის წევრი

თეონა ჭუმბურიძე -